გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

17 ივლისი 2024

N 2-645

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ალალი 2008“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2024 წლის 15 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-მ (ს/კ 404887280) და შპს „ალალი 2008“-მ (ს/კ 245619790) და ითხოვეს შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) 90 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „ალალი 2008“-სთვის გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „ჯი-ეს ჯგუფი“-სა და შპს „ალალი 2008“-ის 2024 წლის 15 ივლისის N20564 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ალალი 2008“-ზე ((ს/კ 245619790) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000063) შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 90 კგ;

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;

3. შპს „ალალი 2008“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ალალი 2008“-ს ;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალალი 2008“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი